






სს „ზაჰესი“		"ZAHESI" JSC	
გამოცემის თარიღი: Date of Issue: 18.06.17.	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 20.06.17.	მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Unlimited	
შეცვლილი დოკუმენტი: არა Replaced Document: No			
დოკუმენტის ტიპი: Type of Document:  ინსტრუქცია Instruction	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.:  INS 06-2017		
სათაური: შრომის დაცვის ინსტრუქცია ხიდურა ამწეების მემანქანეებისათვის Title: Safety instruction for bridge crane operators			
შემდგენელი: Elaborated by: პაატა ბარამიძე Paata Baramidze	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ JSC "Energo-pro Georgia" სახანძრო უსაფრთხოების ინჟინერი Fire Safety Engineer	თარიღი: Date: 05.06.2017	ხელმოწერა: Signature: 
თავდები: Guaranter: ვასო კობიაშვილი Vaso Kobiashvili	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ JSC "Energo-pro Georgia" შრომის დაცვის სამსახურის უფროსი Head of Labour protection service	თარიღი: Date: 05.06.2017	ხელმოწერა: Signature: 
ზედამხედველი: Taskmaster: დიან დიმოვი Dian Dimov	დირექტორის მოადგილე Deputy Director	თარიღი: Date: 12.06.17	ხელმოწერა: Signature: 
დამტკიცებულია: Approved by : მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	დირექტორი Director	თარიღი: Date: 19.06.17	ხელმოწერა: Signature: 

## 1. შესავალი დებულებები:

### 1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ხიდურა ამწეებით მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

### 1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასთან, უსაფრთხოების ტექნიკის წესებთან ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება #340), ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #434).

### 1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

## 2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“

2.2. მემანქანე - სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ თანამშრომელი, რომელსაც უწევს ხიდურა ამწეებზე მუშაობა.

## 3. შრომის დაცვის ინსტრუქცია ხიდურა ამწეების მემანქანეებისათვის

### 3.1. უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

3.1.1. ამწის მემანქანედ დამოუკიდებლად სამუშაოდ დაიშვებიან ის პირები რომლებსაც გავლილი აქვთ: შესავალი ინსტრუქტაჟი; სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი; პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე;

3.1.2. სამუშაო ადგილზე გეგმიური ინსტრუქტაჟი მემანქანეს უტარდება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ხოლო არაგეგმიური ინსტრუქტაჟი: ტექნოლოგიური პროცესების ან უსაფრთხოების წესებში რაიმე სახის ცვლილების დროს, მოწყობილობა დანადგარების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტების შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს, შრომის ორგანიზაციისა და პირობების შეცვლის დროს, შრომის დაცვის ინსტრუქციების დარღვევისას, მუშაობის პერიოდში 60 კალენდარულ დღეზე მეტით შესვენებისას.

3.1.3. დამოუკიდებლად სამუშაოზე დაშვებამდე მემანქანეს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური სწავლება სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით და უნდა გააჩნდეს შესაბამისი მოწმობა.

3.1.4. მემანქანე ვალდებულია:

3.1.4.1. დაიცვას კომპანიის შინაგანაწესი; კომანიაში მოქმედი წესები და ინსტრუქციები;

3.1.4.2. დაიცვას მოწყობილობის ექსპლუატაციის მოთხოვნები; დანიშნულებისამებრ გამოიყენოს და შეინარჩუნოს მანქანა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, არ დაუშვას მუშაობა ისეთი გაუმართაობით, რა დროსაც აკრძალულია ამწეს ექსპლუატაცია;

3.1.4.3. შეძლოს უბედური შემთხვევის დროს (ექიმის მოსვლამდე) პირველადი დახმარების გაწევა;

3.1.4.4. ხანძარქრობის პირველადი საშუალებების, მთავარი და დამხმარე გასასვლელების ადგილმდებარეობა, ევაკუაციის გზები ავარიასა თუ ხანძრის დროს;



- 3.1.4.5. შეასრულოს მხოლოდ დაკისრებული დავალება და არ გადასცეს იგი სხვას საამქროს უფროსის ან ოსტატის ნებართვის გარეშე;
- 3.1.4.6. მუშაობის დროს იყოს ყურადღებით, არ გადაიტანოს ყურადღება სხვა რამეზე და არ დაუშვას სამუშაო ადგილზე პირები, რომლებსაც ურთიერთობა არ აქვთ სამუშაოსთან;
- 3.1.4.7. დაიცვას წესრიგი და სისუფთავე სამუშაო ადგილზე;
- 3.1.4.8. უბედური შემთხვევის დროს ექიმის მოსვლამდე დაზარალებულს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება, მომხდარის შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს საამქროს უფროსს ან ზემდგომ ხელმძღვანელს; მიიღოს ზომები, რათა შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა (მოწყობილობა-დანადგარების), თუ იგი საფრთხეს არ უქმნის გარშემომყოფებს.
- 3.1.4.9. ამწეს გაუმართაობის ან სხვა საფრთხეების გამოვლენის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ხელმძღვანელს. სამუშაოს დაწყება შეიძლება მხოლოდ ხელმძღვანელის ნებართვით, ყველა გაუმართაობის აღმოფხვრის შემდეგ.

## 3.2. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე

- 3.2.1. სამუშაოს დაწყებამდე მემანქანე ვალდებულია შეამოწმოს კონსტრუქციის და ამწე მექანიზმების გამართულობა, კერძოდ:
- 3.2.1.1. დაათვალიეროს ამწეს მექანიზმები, მათი სამაგრები და მუხრუჭები, აგრეთვე სავალი ნაწილი და გატაცება საწინააღმდეგო მოწყობილობა;
- 3.2.1.2. შეამოწმოს ელექტრომოწყობილობების და მექანიზმების, გალერეების, ბაქნების შემოღობვების არსებობა და გამართულობა;
- 3.2.1.3. შეამოწმოს გადაცემების, საკისრების და ბაგირების შეზეთვა, აგრეთვე ჩოხალების და შეზეთვის საშუალებების მდგომარეობა;
- 3.2.1.4. შეამოწმოს ამწეს ხელსაწყოების და უსაფრთხოების მოწყობილობების არსებობა და გამართულობა (ბოლო ამომრთველების, კაკვის აწევის სიმაღლის შემზღვეველი, ტვირთამწეობის შემზღვეველი და ა.შ.);
- 3.2.1.5. შეამოწმოს ამწის, სამუშაო ზონის განათების და ხმოვანი სასიგნალო მოწყობილობის გამართულობა;
- 3.2.1.6. დაათვალიეროს ამწეს სავალი გზა და დარწმუნდეს, რომ გასასვლელი ამწეს სავალ გზაზე და გალერეებზე ჩაკეტილია ბოქლომით;
- 3.2.1.7. დაათვალიეროს ამწეს შემოღობვა, მეტალოკონსტრუქციები და დარწმუნდეს ამწეზე უცხო საგნების არარსებობაში რომლებიც ამწეს გადაადგილებისას შეიძლება ჩამოვარდეს;
- 3.2.1.8. მეჯამბარესთან ერთად შეამოწმოს მოსახსნელი ტვირთსატაცი სამარჯვების შესაბამისობა ტვირთის მასასთან და სახეობასთან, მათი გამართულობა, მათზე საჭდეების არსებობა ტვირთამწეობის, გამოცდის თარიღის და ნომრის მითითებით;
- 3.2.1.9. დათვალიერდეს ამწეს დაყენების ადგილი და მუშაობის ზონა. დარწმუნდეს, რომ ამწეს ტვირთამწეობა შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს ხასიათს, ხოლო ამწეს მუშაობის ზონაში არ იმყოფებიან ადამიანები.
- 3.2.1.10. ამწეს დათვალიერების შემდეგ მემანქანე ვალდებულია უქმ სვლაზე შეამოწმოს ამწე მექანიზმების, მუხრუჭების მუშაობა, უსაფრთხოების ხელსაწყოების, კარის მახლოკირებელი კონტაქტები, განათება და სხვა, გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი მემანქანის ჟურნალში.
- 3.2.2. მემანქანეები არ უნდა შეუდგნენ მუშაობას უსაფრთხოების მოთხოვნების შემდეგი დარღვევებისას:
- 3.2.2.1. დეფექტის ან გაუმართაობის არსებობისას, რომელიც მითითებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციაში, როდესაც არ არის დასაშვები ამწეს ექსპლუატაცია;
- 3.2.2.2. ტვირთსატაცი სამარჯვების დეფექტის არსებობისას ან მისი შეუსაბამობისას შესრულებული სამუშაოების ხასიათთან;
- 3.2.2.3. ტვირთამწეობის მიხედვით ამწეს მახასიათებლების შეუსაბამობა სამუშაო პირობებთან;
- 3.2.2.4. ადამინების, მანქანების ან მოწყობილობების არსებობისას სამუშაო ზონაში.



3.2.3. უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოჩენილი დარღვევები უნდა იყოს აღმოფხვრილი საკუთარი ძალებით. თუ ეს არ ხერხდება მემანქანეები ვალდებული არიან დაუყონებლივ შეატყობინონ პირს, რომელიც არის პასუხისმგებელი ამწეებით უსაფრთხო მუშაობაზე და ამწეს უსაფრთხო ექსპლუატაციაზე.

### 3.3. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს

3.3.1. ამწეს მართვის დროს მემანქანეებმა არ უნდა გადაიტანონ ყურადღება თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულებიდან, აგრეთვე აწარმოონ მექანიზმების წმენდა, შეზეთვა და რემონტი. გადაადგილების მექანიზმების მუშაობის ან ტვირთის აწევის დროს დაუშვებელია ამწეზე ასვლა და ჩამოსვლა;

3.3.2. ტვირთის გადაადგილების მექანიზმის ჩართვამდე მემანქანეები ვალდებული არიან დარწმუნდნენ, რომ ტვირთის გადაადგილების ზონაში არ არიან გარეშე პირები და მისცეს გამაფრთხილებელი ხმოვანი სიგნალი.

3.3.3. ამწეს მექანიზმის ჩართვა და გაჩერება უნდა წარმოებდეს მდორედ, გაკვრის გარეშე. დაუშვებელია ამწეს მექანიზმის გადაყვანა პირდაპირი სვლიდან უკუსვლაზე საბოლოო გაჩერებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია ავარიის ან უბედური შემთხვევის თავიდან აცილება.

3.3.4. მემანქანე ჩიხის საბრჯენებამდე ან მეზობელ ამწემდე მიახლოებას უნდა აწარმოებდეს დაბალი სიჩქარით.

3.3.5. მემანქანემ არ უნდა დაუშვას ამწეს ტვირთამწეობის გადამეტება. ფუნდამენტიდან მოხსნილი მანქანების, მეტალოკონსტრუქციის ან სხვა დანადგარების, აწევა და გადაადგილება მემანქანემ უნდა აწარმოოს მათი ყველა სამაგრიდან განთავისუფლების შემდეგ.

3.3.6. ტვირთის აწევისა და გადაადგილებისას მემანქანეები ვალდებული არიან შეასრულონ უსაფრთხოების შემდეგი მოთხოვნები:

3.3.6.1. შეასრულოს სამუშაოები მეჯამბარეს სიგნალით. მემანქანეს და მეჯამბარეს შორის სიგნალების გაცვლა უნდა წარმოებდეს დადგენილი წესით. სიგნალი „სდექ“, მემანქანემ ვალდებულია შეასრულოს იმისდა მიუხედავად თუ ვინ გასცა ის;

3.3.6.2. ტვირთის აწევამდე საჭიროა მეჯამბარის და ყველა ამწესთან მყოფი პირის ხმოვანი სიგნალით გაფრთხილება, რათა დატოვონ ტვირთის გადაადგილების ზონა. ტვირთის აწევა შეიძლება მას შემდეგ, რაც ხალხი დატოვებს აღნიშნულ ზონას. მეჯამბარე შეიძლება იმყოფებოდეს ტვირთთან მისი აწევის და დაშვების დროს, თუ ტვირთი იმყოფება მოედნის დონიდან არაუმეტეს 1 მეტრის სიმაღლეზე;

3.3.6.3. ავტომანქანების, დატვირთვა და გადმოტვირთვა მოხდეს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებში ადამიანების არყოფნისას და იმ პირის ხელმძღვანელობით, ვინც არის პასუხისმგებელი ამწით ტვირთის გადაადგილების სამუშაოების შესრულებაზე;

3.3.6.4. ამწე მექანიზმის კაკვის დაყენებამ ტვირთზე, უნდა გამოორიცხოს ტვირთის ბაგირის ირიბი დაჭიმვა;

3.3.6.5. ტვირთის ფიქსაცია წარმოებდეს მისი აწევისას 200-300 მმ სიმაღლეზე იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ მისი დაჯამბარების სისწორეში, ამწეს მდგრადობაში და მუხრუჭების მოქმედების გამართულობაში, რის შემდეგ ტვირთი შეიძლება აიწიოს საჭირო სიმაღლეზე;

3.3.6.6. ტვირთის ჰორიზონტალური გადაადგილებისას ის წინასწარ უნდა აიწიოს გზაზე შემხვედრი საგნებიდან დაშორებული არა ნაკლებ 0,5 მ სიმაღლეზე;

3.3.6.7. კედელთან, კოლონასთან, შტაბელთან, ავტომანქანასთან ახლოს განთავსებული ტვირთის აწევის ან დაშვების დროს აუცილებელია წინასწარ დარწმუნება იმაში, რომ არც მეჯამბარე და არც სხვა ადამიანები არ იმყოფებიან ასაწევ ტვირთსა და აღნიშნულ დაბრკოლებას შორის, აგრეთვე დარწმუნდეს ამწეს ისრის და ტვირთის თავისუფალად გავლის შესაძლებლობაში;

3.3.6.8. ტვირთის დაჯამბარება უნდა ხდებოდეს დაჯამბარების სქემების შესაბამისად. დაჯამბარებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ჯამბარები, რომლებიც შეესაბამებიან ასაწევი ტვირთის მასას და სახეობას, შტოების რაოდენობის და მათი დახრის კუთხის გათვალისწინებით;

3.3.6.9. გადასაადგილებელი ტვირთის დაშვება ნებადართულია მისთვის განკუთვნილ ადგილას, სადაც გამოორიცხულია ვარდნის შესაძლებლობა. ტვირთის დაყენების ადგილზე წინასწარ უნდა დაეწყო შესაბამისი სიმტკიცის ქვესადები. ტვირთის დაწყობა და დაშლა უნდა მოხდეს თანაბარზომიერად, არ



იქნას დარღვეული ტვირთის განთავსებისათვის დადგენილი გაბარიტები და არ მოხდეს გასასვლელის ჩახერგვა;

3.3.6.10. ტვირთის აწევის ან დაშვების წინ, ჩვეულებრივთან შედარებით დაბალ დონეზე (ჭიდან, ტრანშიდან, თხრილიდან), უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ უკიდურეს ქვედა პოზიციაში, დოლურაზე რჩება გვარლის არანაკლებ ერთნახევარი ხვია, თუ არ ჩავთვლით მომჭერი მოწყობილობის ქვეშ მოქცეულ ხვიებს;

3.3.7. ტვირთის აწევის ან გადაადგილების დროს აკრძალულია:

3.3.7.1. მუშაობის წარმოება შემთხვევითი პირების მიერ, რომლებსაც არა აქვთ მეჯამბარეს მოწმობა, აგრეთვე ტვირთსატაცი სამარჯვეების გამოყენება, რომელთაც არა აქვთ საჭდეები ან დამდი. ამ შემთხვევაში მემანქანემ უნდა შეაჩეროს მუშაობა და შეატყობინოს ამის შესახებ ამწეებით უსაფრთხოდ მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს;

3.3.7.2. ტვირთის აწევა ან შემობრუნება, რომლის მასა აჭარბებს ამწის ამწევი ისრის ტვირთამწეობას. თუ მემანქანემ არ იცის ტვირთის მასა, მაშინ მან უნდა მიიღოს ტვირთის ფაქტიური მასის წერილობითი მონაცემები პირისგან რომელიც არის პასუხისმგებელი ამწეებზე სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე;

3.3.7.3. ტვირთის გათრევა მიწაზე, რელსებზე და ლაგებზე ამწის კაკვით ბაგირების დახრილი მდგომარეობის დროს, აგრეთვე სარკინიგზო ვაგონების, პლატფორმების, ვაგონეტების ან ურიკების კაკვის მეშვეობით;

3.3.7.4. ტვირთის კაკვით მოგლეჯა, დასილული ან მიწაზე მიყინული, სხვა ტვირთის ქვეშ მოქცეული, დამაგრებული ჭანჭიკებით ან ბეტონ დასხმული, აგრეთვე ტვირთის დანჯღრევა მისი მოწყვეტის მიზნით;

3.3.7.5. ტვირთით ჩაჭერილი მოსახსნელი ტვირთსატაცი სამარჯვეების განთავსისუფლება ამწით;

3.3.7.6. დაზიანებული სატაცი მარყუჭით რკინაბეტონის ნაკეთობების, არასწორად შემოკრული ან არამდგრად მდგომარეობაში მყოფი, და აგრეთვე, ბორტებს ზევით შევსებულ ტარაში მყოფი ტვირთის აწევა;

3.3.7.7. ტვირთის დაშვება ელექტრულ კაბელებზე და მილსადენებზე, ფერდობიდან ან ტრანშეებიდან 1 მ-ზე ახლოს;

3.3.7.8. ტვირთის აწევა მასზე მყოფი ადამიანებით, აგრეთვე, გაუწონასწორებელი და ხალხის მასით გასწორებული, აგრეთვე ხელით შეშველებისას;

3.3.7.9. ამწეს მართვის გადაცემა პირისთვის, რომელსაც არა აქვს შესაბამისი მოწმობა, აგრეთვე, მოწაფეების და სტაჟიორების უკონტროლოდ დატოვება მათი მუშაობის დროს;

3.3.7.10. განახორციელოს ავტომანქანების დატვირთვა ან დაცლა მძღოლის ან სხვა პირების კაბინაში ყოფნის დროს;

3.3.7.11. შეკუმშული ან გათხევადებული გაზის ბალონების აწევა, რომლებიც არ არიან ჩაწყობილი მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში;

3.3.7.12. აწარმოოს მექანიზმის მუხრუჭების რეგულირება ტვირთის აწევის დროს;

3.3.7.13. გამოიყვანოს მოქმედებიდან ხელსაწყოები, რომლებიც ზღუდავენ ამწის ტვირთამწეობას ან მუშაობის ზონას, აგრეთვე აწარმოოს სამუშაოები მათი გაუმართაობის დროს.

3.3.8. ამწესქვეშა ლიანდაგზე რამდენიმე ამწის ყოფნის დროს მემანქანემ შეჯახების ასაცილებლად თვალყური უნდა ადევნოს ურთიერთ გადაადგილების შემზღუდველების გამართულობას, მაგრამ არ იხმაროს შემზღუდველები (ბოლო ამომრთველები) როგორც მუშა ორგანო ამწეს გაჩერებისათვის.

3.3.9. მემანქანეების ამწეზე ასვლა და ჩამოსვლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ბაქნიდან. იძულებითი გაჩერების დროს ამწეებისთვის, რომელთაც არა აქვთ მოწყობილი გასასვლელი გალერეები, მემანქანეების ევაკუაცია უნდა იყოს ორგანიზებული იმ პირის სიგნალით, რომელიც პასუხისმგებელია ამწეების ტვირთის უსაფრთხო გადაადგილებაზე.

3.3.10. ამწეს ტექნიკური მომსახურებისას მემანქანეები ვალდებული არიან:

3.3.10.1. გამორთონ კაბინაში ელექტრო ჩამრავი და ჩამოკიდონ მასზე პლაკატი წარწერით: „არ ჩართოთ-მუშაობს ხალხი!“;

3.3.10.2. შეინახონ შეხეთვისა და საწმენდი მასალები დახურულ ლითონის ტარაში, მოაცილონ ამწედან გამოყენებული საწმენდი მასალა;

3.3.10.3. თვალყური ადევნონ, რომ ამწეზე არ იყოს დაუმაგრებელი საგანი;

3.3.10.4. არ დატოვონ ამწეს ბაქნებზე და მექანიზმებზე ინსტრუმენტები, დეტალები და სხვა საგნები.



3.3.11. ამწეს რემონტში გამოყვანისას კაბინაში უნდა გამოირთოს მთავარი ელექტრო ჩამრაზი, ამოიღებულ იქნას დნობადი მცველები და ჩამრაზის სახელურზე ჩამოიკიდოს პლაკატი: „არ ჩართოთ-მუშაობს ხალხი!“. მემანქანემ კაბინის გასაღები უნდა გადასცეს მუშაკს, რომელიც პასუხისმგებელია სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე.

3.3.12. მემანქანეები ვალდებული არიან შეწყვიტონ ამწეს ექსპლუატაცია და შეატყობინონ პირს, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე, შექმნილი სიტუაციების შემდეგ შემთხვევებში:

3.3.12.1. ამწეს მეტალოკონსტრუქციების ან მექანიზმების დაზიანების დროს;

3.3.12.2. ამწეს მეტალოკონსტრუქციების ან კაკვის, კონტროლიორის, ელექტროძრავის კორპუსის ძაბვის ქვეშ ყოფნის დროს;

3.3.12.3. სატვირთო პოლისპასტის ბაგირის გრეხვისას;

3.3.12.4. სალიანდაგო გზის გაუმართაობის დროს;

3.3.12.5. ელექტრული, თბური ან სხვა დაცვის ხშირი ამოქმედების დროს.

3.3.13. ელექტროენერგიის მოულოდნელი შეწყვეტის დროს ან ამწეს გაჩერებისას გაუმართაობის გამო მემანქანეები ვალდებული არიან კონტროლიორების სახელურები დააყენონ ნულოვან მდგომარეობაში და გამორთონ კაბინაში ელექტრო ჩამრაზი. თუ ტვირთი ამ დროს იმყოფება აწეულ მდგომარეობაში, მემანქანე ვალდებულია გამოიძახოს, სამუშაოების უსაფრთხო შესრულებაზე, პასუხისმგებელი პირი და მისი თანდასწრებით ტვირთი ჩაუშვას განმუხრუჭებით.

3.3.14. ამწეზე ხანძრის გაჩენის დროს მემანქანეებმა აუცილებლად უნდა გააუდენურონ ამწე და შეუდგნენ ხანძრის ქრობას საკუთარი ძალებით, ერთდოულად მეჯამბარეს მეშვეობით შეატყობინონ სამუშაოების ხელმძღვანელს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახებს სახანძრო რაზმს.

#### 3.4. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ

3.4.1. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მემანქანე ვალდებულია: დაუშვას ტვირთი მიწაზე და აწიოს კაკვი ზედა მდგომარეობაში; გაიყვანოს ამწე სადგომისათვის განკუთვნილ ადგილას; კონტროლიორების სახელურები მოყვანილი იქნას ნულოვან მდგომარეობაში; კაბინაში დაიხუროს ფანჯრები და დაიკეტოს კარები ბოქლომით; დათვალიერდეს და დასუფთავდეს ამწე; ღია ცის ქვეშ მომუშავე ამწე დამაგრდეს ძვრასაწინალო სატაცებით; აცნობოს შემცველს, და ამწეთი სამუშაოების უსაფრთხო შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს, ყველა იმ გაუმართაობის შესახებ, რომელიც წარმოიშვა მუშაობის დროს და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი ჟურნალში.

